№ 23. თბილისი, 1942 წ. ივნისი, გამოცემის წელი XIX. გამომცემლობა „კომუნისტი“. ფასი 50 კაპ.

ნიკბი

29/VII 1 5 92

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნან. დონისა.

ახალი „ედემი“

გერმანიაში კრიზისი თანდათან მწვავდება. ტანსაცმელის შეგროვებამ ხალხი შიშველი დასტოვა.

— ამბობენ ჰიტლერს არიელები ღმერთად ისახავენო, მართალია?

— მაგის რა მოგახსენო, მაგრამ ჩვენი ადამისა და ევას მსგავსი ჩაცმულობა კი აშკარად მოწმობს, რომ გერმანია „ფიუურერმა“ მართლაც „ედემად“ აქცია.

ნამდვილი ქუჩადი

ნახ. დონისა

ათინის „ბუბეფუმიდან" მოიპარეს მიკენის ძვირფასი კოლექცია. გერმანიის ათინელი გუბერნატორი თვით გერინგის მითითებით დაეძებს ქურდს. როგორც გამოირკვა ქურდი თვით გერინგი ყოფილა.

გ ა ზ ე თ ებ ი დ ა ნ.



გერინგი: რა სულელია,—ჩვენი ათინელი გუბერნატორი: დაკარგულ მიკენის კოლექციას დაეძებს!
გებელსი: მერე, ამდენხანს ვერ იპოვა? იგი ხომ თქვენი ხშირი სტუმარია!?

გამოფიზული

საკდესი უარჰყოფს გერმანიის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ ჭორს—თითქოს საბჭოთა შეიარაღებული ბომბდამშენები დაეშვნენ თურქეთის ტერიტორიაზე. ამ პროვოკაციულ ჭორს მიზნად ჰქონდა დასახული თურქეთის საზოგადოებრივი აზრის ამხედრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გაზეთებიდან

„მესამე იმპერიის ახალ კანცელარიაში მუშაობა დამთავრებულია, საცაა ზარი დარეკავს, რომ ამცნოს მოხელეებს—კმარა არიული ოფლის დაღვრა. წადით, დაისვენეთ „ფიურერისათვის" დამაშვრალნო, შეექეცით ერზაც-სადილს და დასტკბით გებელსის ხლაპრებითო.

დიდ კაბინეტში, რგვალ მაგიდასთან ზის ორი მოხელე—შვლეპენბერგი და ფხაკუნბერგი. მათ მაგიდაზე ბლოკნოტების მთელი დასტა უწყვიათ—თურქული შტამპით თხელ ქაღალდზე სუფთად გადაბეჭდილი ანკარის სასამართლოს განაჩენის ასლი—გერმანული რეზოლუციით, ვიღაც საეჭვო პირთა ფოტო-სურათები, კარტოტეკები და სხვა „სამუშაო" დოკუმენტები.

შვლეპენბერგი ეკითხება ფხაკუნბერგს:

— მაშ ისე გამოდის, რომ ასფეთქებელი ნივთიერება ჯერ კიდევ ნესტიანი გამოდგა არა?

— რა ნივთიერება ჰერ შვლეპენბერგ? არ მესმის.

— მე ვლაპარაკობ ფიგურალურად, ჰერ ფხაკუნბერგ.

— ესე იგი?

— ესე იგი მე ვამბობ, რომ ანკარის პროცესმა თავისი შედეგი ვერ გამოიღო მეთქი.

— ასე ფიქრობთ? მაშ თქვენის აზრით, კორნილოვსა და პავლოვს ოცოცი წელი გასართობად მიუსაჯეს?

— ეგ არა კმარა.

— ესეიგი, თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ კორნილოვი და პავლოვი მსუბუქად დაისაჯენ?

— არა, მე მაგას არ ვამბობ, მე ვამბობ, რომ თურქეთის მთავრობა ვერ დაისაჯა.

— რით უნდა დასჯილიყო თქვენის აზრით?

— მით, რომ საბჭოთა კავშირთან ომში უნდა ჩაბმულიყო.

— ჰო-ოო, თქვენ ძლიერ შორიდან შემოუარეთ საკითხს. ესე იგი, თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ფონ-პაპენის აფეთქებაც გაბითურდა არა?

— თითქმის მაგის თქმა მინდა—და აგრეთვე იმისიც, თუ რა ვქნათ?

— რის შესახებ?

— იმის შესახებ, რომ საცაა გებელსი გამოგვიძახებს და მასალებს მოგვთხოვს მორიგი ინფორმაციისათვის.

— რა თემაზე?

— საკვირველი კაცი ბრძანდებით ჰერ შვლეპენბერგ, ნუთუ ვერ გაიგეთ, რომ ფონ გებელსი მორიგ მასალას ამხადებს საბჭოთა კავშირის აგრესიის დასამტკიცებლად?

— ვის წინააღმდეგ?

— ამ მომენტში თურქეთის წინააღმდეგ.

— ამზადებს და მოამზადოს.

— ჩვენ უნდა დავეხმაროთ.

— რაღა ჯანდაბით დავეხმაროთ ჰერ ფხაკუნბერგ, არც ერთი რიგიანი სიცრუის გამოგონება აღარ შეძძლიან, თავი აღარ მუშაობს. მაინც რა უმადურია ჩვენი ძაღლური ხელობა: ტვინი უნდა გასწურო, ათასნაირი ჭორი და სიცრუე უნდა გამოიგონო და მხამხარეულად მიართვა გებელსს, რომ მან თავის შემოქმედებად გაასაღოს. მერე და ნეტავი ადვილი საქმე მაინც იყოს; ხალხი გაეშმაკდა, აღარაფერი სჯერა, ჩვეულებრივი სიცრუე აღარ გადის, სად ჯანდაბიდან მოვიტანო არაჩვეულებრივი ტყუილი?

— გთხოვთ დამშვიდდეთ, ჰერ შვლეპენბერგ, ამ შემთხვევაში შრომა ჩემს თავზე მიმიღია. ისეთი ფაქტები გამოვიგონე, რომ ფონ გებელსს ნერწყვი მოუვა ტუჩებზე.

— მაინც?

— წარმოიდგინეთ, რომ თქვენ თურქეთის საზოგადოებრივი აზრი ხართ. წარმოიდგინეთ?

— დიახ!

— ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ქვეყანა იცავს ნეიტრალიტეტს.

— წარმოვიდგინე.

— ახლა წარმოიდგინეთ, რომ თქვენს ნეიტრალურ ქვეყანაში, უცბად გადმოფრინდა ცხრა, ან თორმეტი საბჭოთა თვითმფრინავი, მთლიანად შეიარაღებული ბომბებით, ზარბაზნებით, ტყვიამფრქვევებით.

— წარმოვიდგინე, მაგრამ რა ქნეს იმ თვითმფრინავებმა?

— გადმოფრინდა და დაეშვა შენს ტერიტორიაზე—დაბომბვის მიზნით, ნეიტრალიტეტის დარღვევის მიზნით, დაპყრობის მიზნით ხომ?

— დიახ; დაპყრობის მიზნით. ხომ აღშფოთდი. როგორც თურქეთის საზოგადოებრივი აზრი?

— რასაკვირველია, აღშფოთდი.

— მაშასადამე თქვენსა და საბჭოთა კავშირს შორის კონფლიქტი უკვე მოხდა.

— მოხდა, მოხდა ჰერ ფხაკუნბერგ, ყოჩაღ, ერთობ მდიდარი ფანტაზია გქონიათ, ტყუილად კი არ ამბობს ხოლმე ფონ გებელსი: ჩემს არამზადებში ყველაზე არამზადა ფხაკუნბერგიაო. შენი სიცრუე ერთობ მოხდენილია.

ფხაკუნბერგი კმაყოფილებით იცინის, ხოლო შვლეპენბერგს შურის გრძნობა გადაჰკრავს და გულში გაიფიქრებს: მე გამოვიფიტე, ეს არამზადა კი მაინც ახერხებს ახალი ჭორების შეთხზვასო.

იწყება პატარა პაუზა, რომლის დროს, ორი მოხელის წინ გებელსის კამერჰერი გამოიპარება და ყეფის მსგავს ხმაზე ეუბნება მათ:

— ბატონი პროპაგანდის მინისტრი გიბრძანებთ, ეახლოთ მოხსენებისათვის.

შვლეპენბერგი და ფხაკუნბერგი სასწრაფოდ დგებიან. ქაღალდებს წამოკრეფენ და გარბიან გებელსის კაბინეტისაკენ.

გებელსთან თათბირი დიდხანს არ გაგრძელებულა. მეორე დილით ბერლინის რადიომ ეთერში შეურია გებელსის ხრინწიანი ხმით გაბნეული მორიგი ნაყალბევი—„თურქეთში საბჭოთა თვითმფრინავების დაშვების შესახებ". მესამე დილით კი იმავე კანცელარიაში, იგივე შვლეპენბერგი ხითხითითა და ნიშნის მოგებით ეუბნებოდა ფხაკუნბერგს:

— არა, ჰერ ფხაკუნბერგ, აღარ გამოდის, თქვენი „სარწმუნო წყაროებიდან" მოჩქარული სიცრუე გუშინვე უარყო საკდესმაც და თურქეთის რადიომაც, გამოვიფიტეთ, დაეჩლუნგდით, აღარ გამოდის ტყუილები,—სხვა რაღაც არის საჭირო, ახალი, უფრო დამაჯერებელი.

ფხაკუნბერგი სდუმდა. ფონ-გებელსი კი იჯდა და უცდიდა თავისი გაფიტული არამზადების მიერ შეთითხნილ მორიგ ჭორებს, არიელთა სულიერი სიმტკიცის მორიგი გამხნევებისათვის

ომახი მედგარიძე

ჰიმლერის ყური

ტყვე ჯარისკაცმა ვილჰელმ ნ-მ განაცხადა: „გერმანიაში ყოველ ადამიანს თვალს ადევნებენ გესტაპოელები. ჩვენში გავრცელებულია ასეთი ანდაზა „საკუთარ ჯიბეში ჩაიხედე და იქ ჰიმლერის ყურებს დაინახავ“.

გაზეთებიდან

ნახ. დონისა

ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ქვეყნების მცხოვრებთა კუპლეტები

როცა გაივლი პურის დუქანთან,
საცა არასდროს არ არის პური,
უნდა სთქვა: ვიშ, რა თეთრი პურია,
ხომ იცი, გისმენს ჰიმლერის ყური.

როცა შეგიპყროს გესტაპოელმა,
მოგცხოს, ამოგკრას მაგრად პანღური,
გაუღიმე და მადლობა უთხარ,
იცოდე, გისმენს ჰიმლერის ყური.

როს „ს“-ელი ოჯახს შეგირცხვენს
და ცეცხლად გულში გენთება შური,
უნდა იცინო, იმხიარულო,
გახსოვდეს, გისმენს ჰიმლერის ყური.

როცა გესტუმროს გესტაპოელი,
ლვინო მიართვა მას უნდა ჭურით,
და თან სთქვა: „ამას თქვენ გინახავდით...“
არ დაგავიწყდეს ჰიმლერის ყური.
როცა მოგტაცონ ქათმები, ღორი,
ან მარჩენალი მეწველი ფური,
შეხძახოთ უნდა:—„ჰაილ ფიურერ!“—
გახსოვდეს, გისმენს ჰიმლერის ყური.

* * *

მაგრამ დადგება მალე ჩვენში დრო,
ქვეყნის ნანატრი და საამური
მაშინ ფიურერს ჩავსცეთ მახვილი,
ფაშისტებს მივსცხოთ მაგრად პანღური...

სანდრო

„ბოვყუეგული გუგული“

ფაშისტების სნაიპერმა
გაირბინა ჩუმად ველი,
შესდგა ერთგან, იცქირება
საფარს ეძებს საძაგელი.

უცებ იქვე თვალი მოჰკრა,
სქელ წიწვოვან ნაძვის ხესა,
რომელიც რომ სიმაღლიდან
დაჰყურებდა ბრძოლის ველსა.

„ჩინებული საფარია“
გაიფიქრა გულში მტერმა,
და სახეზე მას სიამის
გაუელვა ალის ფერმა.

თქვა: „მივალ და მის ტოტიდან
ვუთვალთვალებ წითელ მხედრებს
იქ ვერავინ ვერ შემამჩნევს
და ვერც ტყვიას მომახვედრებს.

მე კი ვისაც კი თვალს მოვკრავ
ბედისაგან განაწირსა,
ვესვრი ტყვიას და უსულოდ
დაეცემა მტერი ძირსა“,

მალე მტერი ხის დიდ შტოზე
გაცოცდა და გაინაბა
უხაროდა: მტერს ჰფარავდა,
ხის ფოთლების მწვანე კაბა.

მაგრამ უცებ იმ ხის წვერზე
დაიჭექა თოფის ხმამ
და „გუგულის“ ცივი გვამი
მიწისაკენ დაექანა.

თურმე იმავ ხის წვერიდან,—
ჩვენი ლაშქრის ჩუმად მზვერავს,—
თვით ზვერავდა პარტიზანი
მომხდურსა და გაიძვერას.

განგმირული მტრის სხეული
ძირს დაეცა როგორც გუნდა
და რაც სხვისთვის განეზრახა
თავის თავზე აუსრულდა.

ს. ისარიძე

ფრონტის გაზეთებიდან

ძველი ნაცნობები

ერთი ფინელი ჯარისკაცი ეკითხება მეორეს:

— რა არის, რომ რუსების არტილერიის ყოველ გასროლაზე თავს ხრი?

— ვესალმები.

— ვის?

— რუსების ყუმბარებს.

— რადა?

— მე ჩვეულება მაქვს მივესალმო ყველა ნაცნობს ხოლო რუსულ ყუმბარებს კი მე კარგად ვიცნობ ჯერ კიდევ წარსული ომის დროიდან!..

(„სამშობლოსათვის“)

საუბარი გერმანელთა სანგარში

— რატომ სწევ ხელებს ზევით?

— შეტევისათვის ვემზადები.

(„სამშობლოს დამცველი“)

გადატვირთული და უსაქმოდ მყოფი

ორი ფინელი ჯარისკაცი ხვდება ერთმანეთს:

— როგორაა საქმე, სიარკია?

— ძალიან ბევრი საქმე მაქვს მიავრია!

— იბრძვი?

— არა! მკვდრების აკრების ხელმძღვანელი ვარ. შენი საქმეები როგორ მიდის?

— არაფერს არ ვაკეთებთ, მეგობარო!

— რადა?

— იმიტომ რომ ტროფეების შეგროვების ხელმძღვანელად დამნიშნეს—და დავდივარ უსაქმოდ.

(„სტალინელი“)

პარტიზანების შიშით

პარტიზანებმა ისე შეაშინეს გერმანიის ჯარს სარდლობა, რომ დასვენების დროს ჯარისკაცები იცავენ მათ.

(გაზეთებიდან)

ჯერ კიდევ არ დალამებულიყო, როცა ფრონტიდან გამოქცეულმა მაიორმა დამფრთხალბერგმა კაპიტან ფაფხურბერგს გამოუძახა.

— მომილოცავს გადარჩენა.—დაასწრო კაპიტანმა.

— გმადლობთ, მართლაც მოსალოცია, ძლივს გადავრჩი, მაგრამ... სიტყვა აღარ დასრულა მაიორმა, დაწითლებული თვალებით კაპიტანს შეხედა და განაგრძო:—მთელი სახსრები მტკივა, თავს ძალიან ცუდათ ვგრძნობ. მაგრამ ისინი კვლავ მაფიქრებენ.

— „ვინ ისინი?—გულში გაიფიქრა კაპიტანმა.

— უნდა დაისვენოთ ჭერ მაიორო.

— დიახ, უნდა დავისვენო და ამისათვის გამოგიძახე, რომ დავისვენო. ამისათვის მჭირდები შენ!

— მე რაში ვჭირდები, მაგის დენშჩიკი ხომ არა ვარ.—გაიფიქრა კაპიტანმა. სიტყვა აღარ დასრულა მაიორმა და კაპიტანს მიუბრუნდა:

— ჰო, იმისათვის გამოგიძახე, ერთ საათში ორი ასეული მზად უნდა გყავდეს და ჩემ დასაძინებელ ბინის ეზოში უნდა დააყენო.

— ნამდვილად შკრყეულა ეს საცოდავი. განადგურებულ პოლკებიდან დარჩენილი ჯარისკაცებიც ისე შეშინებულია, რომ წითლების შიშით ფეხზე ველარ დგებიან, თვითონ ფრონტიდან ძლივს სირბილით გამოასწრო და ახლა კი ალბად შეტევისთვის ემზადება.—გაიფიქრა კაპიტანმა და მაიორს მიმართა:

— პარტიზანები არ მოგვცემენ იმის საშუალებას, რომ თქვენი დავალების თანახმად ორი ასეული ამაღამვე გადავიყვანო ფრონტზე.

— რაო, სად უნდა გადიყვანო, შენ ხომ არ გაგიჟდი?—დარჩენილებიც რომ გადავიყვანოთ, მე ხომ ამაღამ დავიღუპე. ისედაც შეშინებულს სულ არ დამეძინება. ყოველ წუთში სიკვდილს პირისპირ უნდა დავხვდე.—გაიფიქრა მან.

— ჩემს აქ არ ყოფნის დროს შტაბიდან ამის შესახებ ცნობა ხომ არ მიგიღია?—განიმეორა ხმა აკანკალებულმა მაიორმა.

— არა, ჭერ, აკი თქვენ თვითონ ბრძანეთ, რომ ორი ასეული მზად უნდა იყოს და ჩემს დასაძინებელ სახლის ეზოში დააყენეო.

— ეს მართალია, მაგრამ არა შეტევაზე გადასასვლელად, არამედ ამ შენობის დასაცავად,—რომ, ამაღამ იმ წყეულ პარტიზანების მსხვერპლი არ გავხდე.

— ეხლა კი მივხვდი. აგრე გებრძანებიათ თავიდან ჭერ!

ილ. ბოლ.

აუცილებელი პირობა

„ეაშმატერ გერმანიაში, გებელსის მიერ დაწყებული „თავაზიანობის კამპანია“ გრძელდება. სწორამოვს პრემიის კანდიდატების ძიება“.

გაზეთიდან

იმ დღეთ ბესტაპოს ერთერთმა განყოფილების უფროსმა გესტა

ღამსხვრეული მითები

ნახ. ბ. ეფიმოვისა

(„კროკოდილიდან“)

ჰიედესტალიდან გადმოგდებული ფიგურები

ცნობისმოყვარე ფრიცი

იყო ცნობის მოყვარული
ჯვრებიანი ქერა ფრიცი,
სადაური იქნებოდა
გამოიცნობთ ყველა, ვიცი.

როცა ომი „ჯვაროსნული"
ფაშისტებმა განიზრახეს,
წამს დაჩნდა სიხარული
მის ბოროტ და მსუნაგ სახეს.

გაიფიქრა: მე გავიცნობ
ახალ ქვეყნებს და ქალაქებს,
ვნახავ მოსკოვს და ლენინგრადს
ყველასაგან დიდად ნაქებს.

გაიფერთხა მან მუნდირი,
რკინის ჯვრებიც გაიფერა,
და საბჭოთა მიწისაკენ
წამოვიდა ფრიცი ქერა.

არა მარტო ქალაქები,
მას ნივთებიც იტაცებდა,
ფრიცი ცნობის მოყვარული
ახალ-ახალ ნივთებს კრებდა.

აღფრთოვანდა კოლმეურნის
სამოვარი როცა ნახა,
ჩასდო თავის ჩემოდანში:
„ზერ გუტ, ზერ გუტ!.." დაიძახა

პატეფონიც მოეწონა,
მოეწონა ნოხიც ჭრელი...
ერთი სიტყვით რაც კი ნახა
მან ყველაფერი სტაცა ხელი..

მაგრამ მაინც ბრაზსა ჰგვრიდა
გააფთრება მხეცურ მადის,
რადგან ... ვერ გაზორდა
მისასვლელებს ლენინგრადის.

და ფიქრობდა: „ნეტა ლოდინს
როს ექნება დასასრული;
რომ მიზანი ავისრულო,
დავიმშვიდო ბარემ გული"...

თითქოს ქერა ფრიცის ნატვრა
ჩვენს პარტიზანს გაეგონა,—
მის მიწურში უცებ სთხლიშა
ყუმბარების მთელი კონა.

...და ასრულდა უცებ ნატვრა
ფრიცის „ცნობის მოყვარულის",—
მას ეღირსა სამუდამოდ,
დაიშვიდება ბოროტ გულის.

ყირიმელი

ახალი სასჯელი

ლავალს ფრანგი „მოხალისეების" შეგროვება ჩაეშალა. მხოლოდ რამდენიმე ქურდ-ბაკაცა გაანთავისუფლა სასჯელისაგან — და ფრონტზე აგზავნის.

ნახ. დონისა **გაზეთებიდან**

— ქურდი პიერი გაუნთავისუფლებიათ სასჯელისაგან. რალა გვეშველება?

— კი არ გაუნთავისუფლებიათ, ახალი სასჯელი მიუციათ:— ფრონტზე აგზავნიან.

ყველაზე ღირსეული

(რ უ ს უ ლ ი დ ა ნ)

(სცენა ბერლინში. გრძელ მაგიდას შემოსხდომიან „თავაზიანობაზე" კონკურსის ჟიურის წევრები).

თავმჯდომარე:—ბატონებო, ჟიურის წევრებო, როდესაც ჩვენი ქვეყანა ფრონტზე და ზურგში განიცდის მძიმე მდგომარეობას, სწორედ ამ დროს გერმანელი მოსახლეობა კარგავს სულიერ სიმშვიდეს, გერმანელები იჩენენ ნერვიულობას, უხეშობას, სიტლანქეს, გულფიცხობას. ღღეს ასეთი მოვლენა ყოვლად დაუშვებელია, მიუღებელი. საჭიროა განმტკიცდეს, ბატონებო, ჩვენს ქვეყანაში ფრონტი სულისა...

ჟიურის ნერვიული წევრი (თავ-რეს აწყვეტინებს) ბატონო თავმჯდომარევ, რას მიედ-მოედები. (დარბაზში იცინიან). ეშმაკმა წაიღოს შენი თავი, ილაპარაკე კონკრეტულად.

თავმჯდომარე—(შეუბღვერს ნერვიულ წევრს), თქვენ, თავაზიანი გერმანელის საკონკურსო ჟიურის ნევრო, გთხოვთ თავაზიანად მოიქცეთ.

ჟიურის ნერვიული წევრი - სულელისაგან მესმის დარიგება თავაზიანობის შესახებ.

თავმჯდომარე—(ნერვიულ წევრს ესვრის ზარს) თავზედო! სიტყვას გართმევ.

ჟიურის ნერვიული წევრი—(მიიკრავა თავმჯდომარესთან) მე კი ამ წუთშივე მოგაცილებ მაგ უტვინო გოგრას, მუდრეგო.

ჟიურის წყნარი წევრი – (გააშველებს. თავის კოლეგებს) ბატონებო, ბატონებო, შეწყვიტეთ ჩხუბი, ორში ერთი: გავტაროთ კონკურსი ყველაზე თავაზიან ბერლინელ გერმანელზე, ან უნდა დავიწყოთ ერთმანეთის თავპირის მტვრევა. შეუძლებელია ამ ორი საქმის ერთმანეთთან შეთავსება.

თავმჯდომარე – თქვენ მართალი ბრძანდებით, წყეული ნერვების ბრალია. ამნაირად ბატონებო, ჩვენ უნდა განვიხილოთ სამი კანდიდატურა. პირველია — ფრანც მიულერი—ჰურის დუჭნის ნოქარი, ორმოცდაზუთი წლის, ცოლიანი. ჰურის მყიდველებისაგან აქვს დახასიათება, მაგალითად ასეთი (კითხულობს): „ჩვენ არ გვსმენია ფრანც მიულერისაგან. არასდროს არც ერთი საგინებელი სიტყვა, ხელს აწერს ხუთი მოქალაქე".

ჟიურის ნერვიული წევრი—მე გამოვარკვიე თუ რატომ არ სმენიათ მათ მიულერისაგან საგინებელი სიტყვა.

ჟიურის წყნარი წევრი—რატომ? რატომ?

ჟიურის ნერვიული წევრი – იმიტომ რომ იგი მუნჯი გახლავთ, უკეთეს შემთხვევაში მას შეუძლია მხოლოდ ღმუილი.

თავმჯდომარე—(აღტაცებით) შესანიშნავია! გერმანელი, რომელიც თავაზიანად ღმუის—ჩვენთვის იდეალია.

ჟიურის ნერვიული წევრი—ამას გარდა, ჩვენ ვიცით, რომ მიულერმა ამ ცოტა ხნის წინად ვიღაც დედაბერს სიფათში ჩაუფარა.

თავმჯდომარე (წყენით) — „სიფათში ჩაუფარა", — ასეთი გამოთქმა შეუფერებელია ყველაზე ღირსეულ თავაზიან გერმანელის მიმართ.

ჟიურის ნერვიული წევრი – მაშინ დრუნჩი იყოს.

თავმჯდომარე—თფუ! (ნერვიულად გააფურთხებს).

ჟიურის ნერვიული წევრი—დამავიწყდა რა ჰქვიან ამას (ხელს მიიდებს სახეზე).

თავმჯდომარე—მაგას ჰქვიან დრუნჩი (თავის სახეს უჩვენებს) ამას კი სახე.

ჟიურის წყნარი წევრი—მოითმინეთ, ბატონებო, სულ ერთია სიფათში ვაარტყა, დრუნჩში თუ სახეში, მთავარი ისაა, რომ მიულერმა გაარტყა დედაბერს. თუმცა ბატონებო, შეიძლება ღირსიც იყო ის დედაბერი გარტყმისა.

ჟიურის ნერვიული წევრი – გამორკვეულია, რომ ეს მოხდა ნერვიულ ნიადაგზე. მიულერმა წაიკითხა „ფიურერის" სიტყვა და ნერვები აეშალა, შევიდა მასთან დედაბერი და რაღაც ჰკითხა. მიულერმა მას გაარტყა სწორედ ამ ადგილას (უჩვენებს სახეს).

თავმჯდომარე—დიახ, დრუნჩში გაურტყამს, გასაგებია, ფრანც მიულერის კანდიდატურა მიუღებელია. გადავდიოართ შემდეგ კანდიდატურაზე—იოჰან შულც, ტროლეიბუსის კონდუქტორი—ოომოცდათერთმეტი წლისა, უცოლო. აქვს მეზობლების და ამხანაგების კარგი დახასიათება ვინ არის წინაალმდეგი?

ჟიურის ნერვიული წევრი—მე ვარ წინააღმდეგი. ჩემს განკარგულებაში არის პოლიციელის ოქმი, რომლის მიხედვით დამტკიცებულია, რომ ამ დღეებში მან გალანძღა ერთი მგზავრი, რომელსაც უწოდა ბრმა და ყეყეჩი.

თავმჯდომარე—იოჰან შულცის კანდიდატურა მიუღებელია. შემდეგი კანდიდატურა გახლავთ გუსტავ შმერკე, ოცდათვრამეტი წლის, სად მუშაობს – არ ვიცით, რეკომენდაციას იძლევა გესტაპო. ხელს აწერს თვითონ ჰიმლერი. ვინ იცნობს გუსტავ შმერკეს? ეგებ კორიდორშია?

ჟიურის ნერვიული წევრი—ახლავე გაიგებ (კორიდორში გადის, ისმის მისი ხმა) შმერკე აქ გახლავთ? (შმერკეს) ჟიური გეძახით მოქალაქე შმერკე! (შემოდის შმერკე).

შმერკე (თავაზიანად მიესალმება ჟიურის წევრებს) სალამი ბატონებო!

თავმჯდომარე - (შმერკეს) გამარჯობა ბატონო შმერკე. გთხოვთ გვიპასუხოთ, თქვენ თავაზიანი ბრძანდებით სამსახურში?

შმერკე—რას ბრძანებთ! როგორ შეიძლება, რომ ჩემს პაციენტს ცუდი სიტყვა ვკადრო. ან შენობით მივმართო, წმინდათ ვმუშაობთ, თავაზიანად.

ჟიურის ნერვიული წევრი და თქვენი პაციენტები თქვენზე უკმაყოფილებას არ აცხადებენ?

შმერკე—ღმერთმა დამიფაროს! არასდროს არც ერთ ჩემს პაციენტს უკმაყოფილება ჩემზე არ განუცხადებია.

თავმჯდომარე—თქვენ კბილის ექიმი ხართ?

შმერკე—არა.

თავმჯდომარე—პარიკმახერი?

შმერკე—არა.

თავმჯდომარე – მაშ რა ხელობის კაცი ხართ?

შმერკე—მე... მე ჯალათი გახლავართ. თავებს ვკვეთ. ზოგიერთებს კი თავებით ვკიდებ.

თავ-რე-ჯალათი? მერე, თქვენი... პაციენტები უკმაყოფილნი არ არიან თქვენზე?

შმერკე—არც ერთი, ბატონო თავმჯდომარევ.

თავ-რე—ძალიან კარგი, ბატონებო, უკეთეს კანდიდატს ჩვენ ვერ ვიპოვით. ჩვენს წინაშე იშვიათი თავაზიანი ბერლინელია.

ჟიურის წყნარი წევრი—სიმართლეს ბრძანებთ.

თავ-რე—მომხმარებლები არ ეჩივიან, თანაგარია რომ არც შეუძლიათ უკმაყოფილონი იყვნენ. მოკლეთ რომ ვთქვათ—ვინ არის მომხრე რომ გუსტავ შმერკე ოცდათვრამეტი წლის, უცოლო, ბერლინელი ჯალათი ვიცნოთ ყველაზე თავაზიან ბერლინელად? გთხოვთ ასწიოთ ხელები!

(ჟიურის წევრები ხელებს სწევენ).

თავმჯდომარე – (თვითონაც ხელს სწევს) მოგილოცავთ თქვენ, ბატონო შმერკე.

შმერკე – დანკე შერ, ბატონებო!...

ს. ე—ლი

სარედაქციო კოლეგია **რედაქციის მისამართი: ყორესის ქ. № 5.** **ტელ. 3-10-49**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1942 წ. 20/VII. ამხ. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

გამომც. № 46. შეკვ № 743. უე 6265. ტირ. 15.000.

42-92

„სტუმარ-მასპინძლობა“

უკრაინიდან დაბრუნებულმა როზენბერგმა აღიარა: „გერმანიის ხელისუფლებამ უკრაინაში ვერ მოახერხა თანამშრომლობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ყველგან შეიარაღებული რაზმები თავს ესხმიან და ხოცავენ გერმანელ ბურგომისტრებსა და მამასახლისებს.

გაზეთებიდან.

ნა.ხ დ. რიონელისა

— როგორც ვატყობთ, როზენბერგი იწუნებს ჩვენს „სტუმართმოყვარეობას“.

— უმადური ყოფილა. რა გვაქვს დასაწუნი ფაშისტ ინტერვენტებისაგან? ვინც კი ჩვენში მოდის— უკან აღარ ვუშვებთ... აქვე ვტოვებთ საუკუნო განსვენების სავანეში...